კვირა 28 სექტ. 1930 წ.

ტარტაროზი

№ 36 (272)
ფასი 10 კაპ.

კულაკი:—ხალხნო, ხომ გაიგეთ, რისთვის ჩამოსულან ი კომწომოლები... აი, წაიკითხეთ, (კითხულობს):

...სავალდებულოა თქვენი ქონების რეკვიზია... — ჩამორთმევაო..

ფონს ვერ გავიდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბო და კოკი შურდულივით შეიჭრენ ოთახში.

— გამარჯობა ამხანაგო მამა! ღიმილათ მიმართა მამას გაბომ და თავის ამხანაგი—კომკავშირელი კოკი ტყვიაძე გააცნო.

— შეგიძლია მამა ჩემო მოგვილოცო. ეს არის ეხლა დავბრუნდით რაიონიდან. ჩვენი კულტლაშქრობა სრული გამარჯვებით დასრულდა.

გაბომ დაიწყო:

— ჩვენ გავეშურეთ დანიშნულ რაიონში, რომელიც ჩვენში ჩამორჩენილ რაიონათ არ ითვლება. მიუხედავათ ამისა რაიონის შიგა და შიგ ისეთი სოფლები ვნახეთ, საცა „წამლათაც“ ვერ იპოვით წერა-კითხვის მცოდნეს. ჩვენ დავდიოდით სოფლიდან-სოფლათ, ვიკვლევდით და ვეცნობოდით სოფლის „ჭირ-ვარამს“ და მოხსენებებს ვუკეთებდით ხალხს სოფლად კულტურულ მუშაობის, კერძოთ კი საყოველთაო—სავალდებულო სწავლის შემოღების და წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის გარშემო. მშრომელი გლეხკაცობა აღტაცებით ეგებებოდა ჩვენს გამოსვლებს და დახმარებას აღუთქვამდენ მთავრობას ამ საქმეში. გვხვდებოდა ისეთი სოფლებიც, საცა გლეხობის შეძლებული ნაწილი, ყოფილი თავად-აზნაურები, მღვდლები და ჩარჩები წინააღმდეგობას გვიწევდენ:

— **რისს წავლა, რა სწავლა!** ჩვენს მამებს და პაპებს „ყურსები“ არ გაუთავებიათ, მარა ჩინებულათ ცხოვრობდენ!.—გაიძახოდენ ისინი და ხალხს აქეზებდენ ჩვენს წინააღმდეგ. ხალხი კი ყურს არ უგდებდა მათ და ჩვენ გვიჭერდა მხარს.—დაათავა თავის სიტყვა გაბომ და კოკის მიმართა:

— კოკი, შენ კი უამბე მამას სოფ. ღრეთის ამბავი.

კოკიმ დაიწყო:

— სოფელი ღრეთი ძალიან შორს ყოფილა, სადღაც მთაში არწივის ბუდესავით არის გადმოკიდებული. მთელი ღამე ვიარეთ და დილას ძლივს მივაღწიეთ. ჩვენი მისვლა მთელ სოფელს გაეგო და ერთი განგაში ამტყდარიყო. სოფლის მავნე ელემენტებს ხალხში სხვადასხვა ჭორები გაეგრცელებიათ. თითქოს ჩვენ მთავრობისაგან ვიყავით გამოგზავნილი ხალხის შესავიწროვებლად, ზოგი რას ეუბნებოდა ხალხს და ზოგი რას.

სოფელ ღრეთში არც სკოლაა და არც კოოპერატივი. წერა-კითხვა ხომ არავინ იცის, გარდა ორი სამი კულაკისა, მღვდლის, ჩარჩის და ორი ჩვენი ამხანაგის. ერთი მათგანი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეა, მეორე კი მდივანი, პარტიისა და კომკავშირის ახლად დაარსებული ჰატარა უჯრედის.

მეორე დღისათვის სოფლის შუა ადგილას მშრომელ გლეხთა კრება მოვიწვიეთ.

კრებაზე არავინ გამოცხადდა.

— რაშია საქმე? შევეკითხეთ ადგილობრივ ამხანაგებს.

— არ ვიცით. დაგვპირდენ და აღარ მოვიდენ.!—იყო მათი პასუხი, კრება გადავდეთ მესამე დღისათვის.

სამი საათი ველოდით და ორი ღარიბი გლეხი გამოცხადდა.

— გვითხარით იქნება თუ არა კრება? გულმოსული შეეკითხა გაბო საბჭოს თავმჯდომარეს.

— ასე ამბობენ, კრებისათვის სად გვცალიაო, დღეობისათვის ვემზადებითო.

— რის დღეობა? გაკვირვებით შეეკითხეთ მას.

— ხვალ ჩვენი სოფლის დღეობაა, მარიობა და ხალხიც სამზადისშია,—თავჩაღუნულმა (ალბად სირცხვილისაგან) ჩაილაპარაკა საბჭოს თავმჯდომარემ.

თათბირი გავმართეთ: ჩვენ შორის ორი აზრი ტრიალებდა. ერთი უკან დაბრუნების, მეორე დარჩენის. უკანასკნელ აზრს იცავდა გაბო.

— ხვალ ეკლესიაზე ხალხი შეიკრიბება. ჩვენც ამით ვისარგებლებთ, „მფრინავ“ კრებას გავმართავთ და ხალხსაც გავაცნობთ ჩვენს მიზანს.

გაბოს ეს წინადადება გავიდა.

— აფხანაკებო! მოდით! შეჩერდით! ტფილისელი აფხანაკები არიან, საქმე აქვთ, საქმე! გაისმა ხმა სასაფლაოს ქვაზე შემდგარ საბჭოს თავმჯდომარისა.

— რა დროს საქმეა, დღეს ჩვენი დღეობაა. ვიცით რას იტყვიან. ყრუდ ისმოდა ხალხში და ზოგიერთები სახლისკენ წასვლას აპირებდენ.

— ამხანაგებო! გთხოვთ ცოტა ხნით მოითმინოთ. ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი, საჭირო და თქვენთვის სასარგებლო საქმეა.—იქექა გაბოს ხმამ და ხალხიც შესდგა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— აი ამ დიდ ქაღალდზე,— დაიწყო გაბომ და გაშალა პლაკატი,—სწერია ის, რაც თქვენთვის სასარგებლოა, გთხოვთ წაიკითხოთ!

— ჩვენ კითხვა არ ვიცით... ნეტაი რა სწერია? — თედომ წაიკითხოს, თედომ...! გაისმა ხალხში. ხალხის წინ წამოდგა თედო ბეგვიაშვილი, შეძლებული გლეხი და ცნობილი ჩარჩი, თედომ ჯერ თავისთვის წაიკითხა და შემდეგ ხალხს მიმართა:

— ხალხნო, ხომ გეუბნებოდათ... აქ სწერია, რომაო, დრო არისო, **როცაო ხალხი ვალდებული არის, რომაო** უცოდინარების ლიკვიდაცია მოვახდინოთო.. ხომ გესმით ლიკვიდაციაო, ესე იგი მოვსპოთო... **ხალხნო, ჩვენ ვართ** უცოდინარები, მაშ ჩვენ უნდა მოგვსპონ? ხალხო თქვით რამე!

ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა! თედო მართალი ყოფილა... ლიკვიდაციაოო... უნდა მოვსპოთო... ტფუილია... რას ამბობ?

— ამხანაგებო! კვლავ გაისმა გაბოს მჭექარე ხმა:

— ეს კაცი ან **შეუგნებელი** და უვიცია, ან თქვენი მოსისხლე მტერი! ხელი გაიშვერა თედოსაკენ და განაგრძო: იცით აქ რა სწერია. **დადგა დრო, როდესაც ხელი უნდა მოვკიდოთ საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლების შემოღებას, უნდა მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია!** გესმით ამხანაგებო! აქ მთავრობა გპირდება თქვენ ყველასთვის სწავლას უფასოთ, ამისთვის საქართველოში 21 მილიონი მან. გადადებული. ღარიბები დახმარებასაც მიიღებენ. რა არის აქ ცუდი? გაბომ დიდხანს ილაპარაკა, რომელსაც ხალხი სულგანაბული უსმენდა. თედო ბეგიაშვილი, მღვდელი და კულაკები კრებიდან გაიპარენ. ისინი „ფონს ვერ გავიდენ“.

გაბოს შემდეგ ჩვენც ვილაპარაკეთ.

მე „კბილი“ გავკარი სარწმუნოებას და დავგმე საეკლესიო დღეობები. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა კოლექტივიზაციაზე ილაპარაკა, მშრომელი გლეხებიც გამოვიდენ. ბოლოს საბჭოს თავმჯდომარემაც ილაპარაკა.

— თურმე გვატყუილებდენ... თვალებს გვიხვევდენ! — გაისმა ხალხში.

სიტყვების შემდეგ გამოითქვა საერთო სურვილი სოფელ ღრეთში კოოპერატივის და სკოლის დაარსების შესახებ. ასე დასრულდა ჩვენი კულტლაშქრობა! დაათავა კოკიმ.

მიხა აღტაცებით უსმენდა ახალგაზრდების აღფრთოვანებულ სიტყვებს. მან მუშურათ ჩამოართვა მათ ხელი და უსურვა ასეთი მრავალი გამარჯვებები მომავალ მუშაობაში.

ნიანგი

„შესაფერი“

—საბჭოთა აპარატში არ გამოდექი; სამეურნეო ორგანიზაციებში ვერაფერი გააკეთე, პროფორგანიზაციებში ყველაფერი არიე, პარტიის პოლიტიკაში ვერ ერკვევით... დამშვიდდით!. ნუ ღელავთ ამხანაგო, პროფსკოლის ან კადრების მომამზადებელ განყოფილების გამგეთ დაგნიშნავთ' შესაფერი თანამდებობაა!

დამკვრელოგის გარშემო

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ დაკვრა, როგორც ასეთი, ფრიად სტიქიური მოვლენაა და შედეგებს საგრძნობს და ხშირად განსაცვიფრებელს იწვევს.

მაგალითები:

ქარხანაში დაკრეს საყვირი.

ეს ნიშნავს, რომ სადღაც სამრეწველო უბანში ქარხნის ყვირილი გაისმა.—მერე რა უყოთ,—იტყვის მკითხველი, მაგრამ ამ ერთი საყვირის დაკვრა იწვევს ასი და ათასი მუშის გაღვიძებას, ქარხნისკენ ლტოლვას და მერე ხომ იცით—გაცხარებულ მუშაობას, რასაც შედეგათ მოსდევს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება.

მუშებმა დაკრეს ჩაქუჩი.

აქ ბევრი განმარტება აღარ დაგვჭირდება, რადგანაც ჩაქუჩის დაკვრის შედეგი ყველამ იცის: ეს არის რაიმეს გამოჭედვა, საწარმოო იარაღის გაკეთება, მისი საწარმოში, ან მინდორში გადატანა და მერე თქვენც მიხვდებით—წარმოების და მეურნეობის ჩქარი ტემპით წინ გაქანება.

ეს კაცი დამკვრელია.

წინად, დამკვრელია, რომ იტყოდენ, ზოგიერთებს თმა ყალყზე უდგებოდათ, მეც არ დამკრასო, რადგანაც აქ პირწავარდნილი ხულიგანი იგულისხმებოდა, მაგრამ ვინ არის ის, ვისაც დღეს სიამოვნების იერი არ გადაკრავს სიტყვა დამკვრელის ხსენებაზე?! დამკვრელი კაცი, დამკვრელი მუშა დღეს წარმოების ქვაკუთხედია, მისი მამოძრავებელი ძალაა. დამკვრელმა რომ [illegible] გიშალოს, წინ სამრეწ[illegible] ბის პირამიდები წარმოგიდგება: დამკვრელი გეგმაზე ფიქრობს, გეგმას ასრულებს, გეგმას ადგენს, გეგმით მუშაობს.

დამკვრელი ბრიგადა.

ორიოდე წლის წინად რომ ქუთაისში დამკვრელი ბრიგადა შეგხვედროდათ, პირველ რიგში რესტორანში ჩაგასეირნებდენ, იქეიფებდენ, თქვენი ჯიბის ყოველ კუნჭულს მიკროსკოპით გასინჯავდენ, საფუძვლიანად ამოასუფთავებდენ და შემდეგ ბოთლებით გააჩაღებდენ „დამკვრელ მუშაობას“. ეს იყო მაშინ, ახლა კი დამკვრელი ბრიგადა ნიშნავს მუშების [illegible]ფს, რომელიც დამკლავებული მუშაობს ხუთწლედის ოთხიოდე წელში შესასრულებლათ.

დამკვრელი მოძრაობა.

იმას კი არ ნიშნავს, რომ ვინმეს უნდა დაკრან და სათანადოთ მოძრაობენ, არამედ იმას, რომ ასი ათასი და მილიონი კაცი მოძრაობს, მუშაობს და სხვებსაც ამოძრავებს ჩვენი მეურნეობის წინსვლის დასაჩქარებლათ.

დამკვრელი ტემპები.

სრულებით არ ნიშნავს, რომ ხალხი ერთ ადგილზე იტკეპნება. პირიქით: ეს მოასწავებს, რომ ერთ თვეში გასაკეთებელი ერთ და უკიდურეს შემთხვევაში ორ კვირაში კეთდება.

დამკვრელი დღე.

აი, აქ არის საქმე. საქმე იმაშია, **რომ პირველი ოქტომბერი გამოცხადებულია სრულიად საკავშირო დამკვრელ დღეთ** და ამიტომ უმორჩილესად და ამხანაგურათ გთხოვთ, იმ დღეს, ე. ი. 1-ლ ოქტომბერს, მობრძანდეთ დაუგვიანებლათ წარმოებაში, ცეხში, აგრეგატთან, დაზგასთან, ტრაქტორთან და ყოველგვარ საწარმოო იარაღთან და როგორც დამკვრელი ქვეყნის შვილებს შეეფერება, იმუშავეთ ზედამკვრელი წესით, ტემპებით, ყაიდით და ხალიესით, რისთვისაც, ჩვენთან ერთად თქვენც დარჩებით დიდათ პატივცემული და ნასიამოვნები, რადგანაც ეს დააჩქარებს ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებას რომის პაპა პიი მეთორმეტის ჯიბრზე.

აღლარ-აღლარსან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უიმედო იმედი

ღვდელი:—გაკურთხოს, შვილო, ღმერთმა!—ჩვენი ყოფილხარ: ჯვარსა სვამ ხელისმოწერის მაგიერ.

გლეხი:—აი დედას გიტირებ ეე თუ ჩემამდისაც მოვიდა ი რაღაც საერთო წავლბაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დაბადება“ ანუ „ბიბლია“

თავი მეთოთრმეტე

იმაზე, თუ მოსე
რა სასაწულს ნახავს
და დაალებს ხახას.

ეგვიპტელების ფარაონი გარდაიცვალა.
ებრაელების ბედი ამით არ შეიცვალა.
შემდგეგში იწყება
მთელი რიგი, წყება
ისეთი ამბები,
რაც ხალხისთვის იყო ძნელათ გასაგები.
მაგრამ ეხლა ცოტას ვინც დაუკვირდება,
ამ ხალხის სიბრიყვე მას გაუკვირდება!

საუკუნე შემდეგ მრავალი გავიდა,
ამ ხალხმა კი დღემდე მაინც ვერ გაიგო,
რომ ყველაფერი ეს მოჩმახლოლია
და მათ საყვლეფათ განზრახულია!

ავიღოთ, თუნდა, აი, ასეთი,—
(რიცხვით იქნება, მგონი, ას ერთი!):
ერთხელ მწყესავდა სიმამრის ცხვარს მოსე,
მან სასწაული იხილა ასე:

ეკლის ბარდს ენთო გარშემო ალი,
მაგრამ ცეცხლისგან ის არ იწოდა.
შიგ შემძვრალიყო, თეთრმე, უფალი,
მოსემ სრულებით ეს არ იცოდა!
ამიტომ ყალყზე აუდგა მას თმა,
რომ შემოესმა ცეცხლიდან ეს ხმა:

— „მომიახლოვდი, ჩემო მოსე, აქ!
ყური დამიგდე,—რა სათქმელი მაქ:
წადი, გადაეცი შენ ებრაელებს,
რომ მე მათ მივსცემ ისეთ კარგ ველებს,
სადაც მდინარე თაფლისა და რძის,
ნაპირებიდან უხვათ გადმოდის!

მაგრამ ერთი რამ კარგათ გახსოვდეთ:
ეგვიპტიდან თქვენ როცა გახვიდეთ,
თან გაიტანეთ ყოველი ბარგი, —
ავი, თუ კარგი!
ცუდი არ იქნება აგრეთვე ისიც,
გაიყოლიოთ რაიმე სხვისიც!

რასაც მეტს დასტყოვთ თქვენ ეგვიპტელებს,
უფრო მოითბობთ ამითი ხელებს!

მე კარგათ ვიცი:
ოქრო და ვერცხლი,
თუ კაცს ჯიბეში საკმარისად აქვს,—
მას არა უშავს!

ვიცი, ფარაონი არ გაგიშვებთ ნებით.
მაგრამ გადაწყვეტით მე თქვენ გეუბნებათ,—
ისეთი შავი დღე მე მას დავაყენო,
რომ მთელი ეგვიპტე ყირა დავაყენო!“..

დამიხედეთ ერთი ამ ზეციერ მამას!
ჩემი თუ არ გჯერათ,—თქვენ იხილავთ ამას,
„დაბადების“ გვერდებს თუ კი გადაფურცლავთ:
მოთხრობილი არის ყოველი ეს იქ ვრცლათ!

როცა ასეთ ბაასს ღმერთი განაგრძობდა,
სინდისის ქეჯნას სრულებით არ გრძნობდა!
მეხსიერებამ მას ულალატა რატომ?
თითქოს ებრაელი გაეჩინოს მარტო!

ეგვიპტელებმა მას რა დაუშავეს,—
რომლის მიმართ იჩენს ასეთ სიავეს,—
ან რა გაუკეთეს ებრაელებმა,
ამის შესახებ მას ენა დაება!

შემდეგ ის ასწავლის მოსეს ბევრ ოინებს,
რაზედაც დღეს კაცი გულით გაიცინებს!

მოსეს რომ ეკავა ხელში კომბალი,
ისე დაიკლაკნა, როგორც რომ გველი!

შიშით უბეში ხელი რომ იტუცა,
ფიფქი თოვლივით ის თეთრათ იქ იქცა!

უეცრათ... წყალი... რომ დააქცია
უფალმა ისიც სისხლათ აქცია!..

და ყოველი ეს,
მიტომ, რომ მოსეს
მისი ძლიერება ხალხისთვის ემცნო,
და ამ ხალხს იგი ღმერთად რომ ეცნო!

ღმერთმა ოინები, რომ გაათვა,
მოსემ მოწყენით ჩაჰქინდრა თავი:
მოსეს ეს ამბავი
სულ არ ეპიტნავა!

ეგვიპტეში მას ჩადენილი ჰქონდა მკვლელობა,
რისთვისაც კარგი, იქ ჩასვლის დროს, არ მოელოდა.
მიტომ მან გაბედა
უარის განცხადება:

— „ენა მებმება, მაქვს სულ წვრილი ხმა, —
ისე ვპეტელობ, თითქო ვიყო თხა!
თან წითელი ფერის
არის ჩემი წვერი, —
რაც ხალხს არ მოსწონს.
გეუბნები სწორს!

ყველა ამას თუ ანგარიშს გაუწევ,
ხალხის სურვილებს შენ გვერდს არ აუქცევ,
იცოდე კარგა,
რომ ამ საქმისთვის მე სულ არ ვარგვარ!

აწონ-დაწონე შენ სულ ეს ყველაფერი,
სხვა ვინმე მოძებნე, უფრო შესაფერი!“..

მოსეს უარი ღმერთმა იწყინა.
კინაღამ ჯოხი... უცხუნა!
ისეთი დასჭყივლა, კაცი დაფეთა!

— „როგორც გეუბნები, ისე გააკეთე!
გასწი ეხლავე შენ ფარაონთან.
გაიყოლიე აარონი თან:
მას ხმაც კარგი აქვს, შეხედულებაც,
და შენზე მეტი გაბედულობაც!
გასწი, გზაში ის წინ შემოგხვდება.
ჯაფა იმას და ქება შენ გხვდება!

შემდეგ მოგაწვდი კიდევ დირექტივებს,
თუ გამოიჩენ კარგათ აქტივობას!“...

მეტი რა გზა იყო,
ღვთის ბრძანებას უნდა დათანხმებულიყო.
თუმცა თავზე თმა ბუძგათ აუდგა,
ეგვიპტისკენ გზას მაინც გაუდგა!...

ს. თ—ია.

(გაგრძელება იქნება)

ვასტეხს ქვასაცა მაგარსა...

(მომენტის მიხედვით)

— ასალო, საყოველთაო, სავალდებულო სწავლა შეძოვიღეთ, შვილი უეჭველად სკოლაში უნდა გაგზავნო, არ გაგზავნი და ჯარიმა უნდა გადაიხადო, გაიგე?!

— გავიგე რომელია, ხუთი შვილი გამიზრდია, ზოგი ქონია, ზოგი დალაქი. ზოგი მეწყალე, ზოგი მემწვანილე და არც ერთს სკოლის თვალი კი არ უნახავს. მეც ცოტაოდენი სარფა მქონია მათი ჯამაგირითა თუ შემოსავლით და ისინიც ლუკმა პურსა სჭამენ. დრო რომ სავარგისი ყოფილიყო, თითოეულს შესაფერი შეძლებაც საკმაოთ ექნებოდა ახლა, მაგრამ მახლას!.. რაც ეს კომუნისტები დაბრძანდნენ, ჯერ-ჯერობით სულ უკან-უკან ბიდის საქმე. ახლა ეს მეექვსე შვილიც სკოლაში შემოიყვანეო, რა არის, ისიც მათ ჭკუაზე გამოზარდონ, არა?! მაგრამ ვერ მივართვი ბადრიჯანი, ასალო იმ ცომისგან ბოზელილი ნუ ჰგონიათ, რომ ყველა ბათ დოლის დაკვრას თავისი ფეხებიც ზედ ააყოლოს. სწავლა რას მიქვია! აი, გიოს შვილი, ნიკოლოლამის მამა სულ თავის თავზე გადაიყოლა, ეს გიმნაზია ვარო ეს უნივერსიტეტი, შემდეგ ერთი ადვოკატი ვინმე დადგა, ვილაც ფრანცუჟანკას ხიდი მოლავში გამოსდო და გეოს ქონება რომ თავზე გადაილია, თავიც იმ ფრანცუჟანკას გადაალია. ეხლა ზის გიო და სალდათის ბაზარში სემიჩკებსა სთვლის: ზოგსა ჰყიდის სერმიის მოსაბრუნებლად, ზოგსაც თითონა სჭამს. ახია მაზედ! ვერ მიჰყვა ჩემს მაგალითებს?!.

ასეთ მუსაიფში რომ იყვენ ნაშიკიტნარი ასალო, რომელსაც თავის ნათქვამზე გადაუხვევლობისათვის მეტ სახელად ასალო კირკიტას რომ ეძახდნენ, და მისი მეზობელი სტეფანე, რომელსაც თავისი კინტოობის დროინდელი სახელი „სტოპა“ ნაცნობ-მეგობრებში დღემდის ხელუხლებელ საგანძურსავით შერჩენოდა, ასალოს ვაჟი, ნიკოლა, უკვე ცხრა წლის გარეუბნელი ბიჭი და, მაშასადამე, სასკოლო ასაკს უკვე კაი ხნით გადაბორებული, რომელიც, ოჯახის ტრადიციის წინააღმდეგ, დღემდის სულ სახლში იჯდა და სოფ. №-დან სამოვრის საწმენდ მიწას ეზიდებოდა ქალაქში გასასყიდათ, რადგან მამას მისი რომელიმე ჩარჩისთვის მიბარება ჯერ კიდევ ვერ მოეხერხებინა, რადგან ჩარჩიც ისე ბლომად და ხელსაყრელად აღარ მოიპოვებოდა, როგორც უწინ,—სწორედ ამ დროს ბავშთა ქუჩებში მოზღვავებულ მდინარეს შერეოდა და ზვირთთა ქეჩოზე მოქცეულ ნაფოტივით შიჰქროდა ქალაქის დიდი ბაღისაკენ, სადაც საყოველთაო, სავალდებულო სწავლის შემოღების კამპანიასთან დაკავშირებული ბავშთა მიტინგი იყო დანიშნული.

აქ ნიკოლას გამოჰკითხეს გვარი, სახელი, მამის სახელი და ბინის მისამართი, რომელიც ნიკოლამ ძველის ძველი სახელდებით გააცნო შემკითხველებს, რისთვისაც საერთო დამცინავი სიცილიც კი გამოიწვია.

ნიკოლა იდგა და გაშტერებით შესცქეროდა ხალხს, რომელიც მის ჰასუხს სიცილით და ირონიით ხვდებოდა ირგვლივ. ვერ მიმხვდარიყო ძველი, მამისეულ ოჯახში დამკვიდრებულ ტრადიციის კლანჭებში მოქცეული ნიკოლა თუ რა აცინებდა ამ ხალხს ასე გულიანად.

სწავლა ხომ გინდა?—შეეკითხა ის, რომელმაც ნიკოლას ჰასუხებსა სწერდა რალაც დავთარში.

— სწავლაააა?.. სწავლა... კი... მინ... დ..ა... დაება ენა ბავშს, რომელსაც ნათელი წარმოდგენა არც კი ჰქონდა იმაზე, თუ რა უნდა იყვეს ეს სწავლა. ალბათ, ერთ-ერთ ისეთ ხელობაზე ეკითხებიან, თავის უფროს ძმებს რომ აქვთ შეთვისებული! —ჰფიქრობს თავისთვის ნიკოლა და უქნევს თავს კანტურით თავის დამკითხველს.

მეზობელმა ბავშვებმა კი იცვნეს თუ აია ნიკოლა, მაშინვე ერთი განგაში ასტეხეს:

— ეს ასალოს შვილია, ამხანაგო ინსტრუქტორო, კირკიტა ასალოსი, მაგისი მამა მაგას სწავლას არ დაანებებს, ხუთი ძაგაზე უფროსი შვილები სუყველა ჩარჩებათ თუ წვრილწვრილ ხელოსნებათ გამოზარდა და მაგასაც სამოვრის მიწას აზიდვინებს სოფლიდანა!..

— კარგი, ძალიან კარგი, ჩვენ ამას კარგათ გამოვიკვლევთ—უჩრის მოტატინე ბავშვებს ის, რომელიც სწერს და ალერსიანად შესცქერის ნიკოლას, თითქოს მისგანაც ნათქვამის დასტურს მოითხოვსო.

მაგრამ რალა დასტური! განა, ზედვე არ ემჩნევა ჩაწუწიანებულ ნიკოლას, რომ ყოველივე მართალია?!

— შენ კი... შენ რას იტყვი, ბალო, სწავლა ხომ გინდა? შენც ჩვენი მხიარული საზოგადოების წევრად გახდომის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?—გახაგრძობს ქალალდზე მწერალი და შესცქერის, ჯიუტად შესცქერის თავის წინაშე თანხმობის ნიშნად დამნაშავესავით მდუმარედ მდგომ ბავშვს.

მაგრამ ნიკოლა რა დამნაშავე უნდა იყვეს. ჩვენ ის ვნახოთ, მართლაც დამნაშავე და თავისი ღვიძლი შვილის წინაშე პირშავად მყოფ ასალოს ახლაც გაუვა თუ არა თავისი კირკიტა სიჯიუტე?!

ბაზარა

პასპორტი „ცარსკოეს-ს

სახგანკომიდან

გლავპროფობრს სული ამოხდა,
აღარ არსებობს აწია,
ეხლა ვლაგდებით და მისთვის
არის აქ ბაწა-მაწია.

იქმნება კადრთა სექტორი,—
პედაგოგ კადრთა აღმზრდელი,
სექტორი... კიდევ სექტორი...
ვინ დასთვლის ჯგუფიც რამდენი.

სკოლები გადავაბარეთ
ნარკომზემს, სმუსს და „გლავხიშსა“
და თუ უბინოთ არიან
ეს მათი ბრალი არისა

პროგრამაზედა.... ჰო ისე,
დავიგვიანეთ, სწორია.
მაგრამ რას ვიზამთ,—ვმუშაობთ,
ამაც შენც ხედავ, მგონია.

ჯამაგირზედა (ჯიდათ ვართ,
შევეჭამეთ ბიუჯეტია,
ნარკომფინშია სირბილით
გლავბუხს თავს ესხმის რეტია.

გაკვირს, რათ არის ამდენი
ახალგაზრდობა ზეკათა:—
სტიპენდიებსა არიგებს
კირილე ცრემლის ფრქვევითა.

— რა სექტორია, ძმია,
მუდამ რომ ცარიელია?
— ის ხელოვნებას თაოსნობს
იქ სამუშაო ბევრია...

უბედო სექტორს ეძახდენ,
მაგრამ რა მისი ბრალია,
ყველაფერს ხომ ვერ გახვდება
ერთი აკაკის თავია,

ეხლა ვლაგდებით ეს არი
ცუდ დროს მომთხოვე პატაკი,
გიმასპინძლდები ქადით და
საფელამუშე ბადაგით.

ზივოტროტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი-ამოცანა



— რას მოსთქვამს ეს მოქალაქე: რა ჩაიდინა, ან რა ამბავი შეემთხვა ასეთი?

„მემატიანე“

მას შემდეგ, რაც სოფ. ბჟოლიეთის ეკლესია ხალხმა დაშალა და მასალა სკოლის ახალ შენობას მოახმარა, ადგილობრივი მღვდელი ტარასი ჩუმპაძე, როგორც სოფელში იტყოდენ ხოლმე, „იაქესავით დარჩა“.

ეჰ, არ ვიყო მოხუცებული, კი ვიცი რასაც ვიზამდი?!

— რას იზამდი?

— გავიკრეჭდი თმასა და წვერს და...

— ღმერთს რას ეტყოდი?

— თუ ღმერთი არის, ვეტყოდი, რომ—მაიძულეს გაკრეჭა-თქო. თუ არ არის, კიდევ უკეთესი, პასუხს ვერავინ მომთხოვს გაკრეჭისათვის!—ასე ელაპარაკებოდა ხშირად ტარასი თავის თავს.

მაგრამ „ანგელოზმა ეშმაკს დასძლია“ და ტარასი გაუკრეჭავი დარჩა.

— დავიწყებ მატიანეს წერას, როგორც ეს ძველად სასულიერო პირებმა იცოდენ, აღვწერ დღევანდელ საშინელებას და მით უკვდავვყოფ ჩემს სახელს!—გადასწყვიტა ტარასიმ და იმ ღამესვე შეუდგა მატიანეს წერას.

ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა და ვაქვეყნებთ მის მიერ ჩაწერილ ერთ ამბავს.

ქორონიკონსა 1930 წელსა, თვესა სექტემბერსა და აგვუისტოსა, სახელითა და ხელისმოწერითა ცაკისა და სახკომსაბჭოს თავმჯდომარეთა, გამოიცა ხალხთა მიმართ ბრძანება, ძალითა რომლისა არა იყოს ქვეყანასა საბჭოისა შინა უვიცნი წერისა და კითხვისა. ყოველ მშობელს ევალების სწავლება შვილისა თვისა, ვითარცა ძისა, ისე ასულისა, ვაჟისა და ქალისა.

და წახდა დროება ჟამსა საბჭოისა ხელისუფლებისა, რამეთუ არა არიან და მუნ არ იქნებიან უვიცნი და ბრიყვნი, რომელთა ზედა ემყარება საფუძველი წმინდისა ეკლესიისა და რჯულისა ჩვენისა და ყოვლისა მეფისა ჩვენისა, რომელ განსვენებულ არს წმინდა წიაღსა აბრამისასა შუაგულ ჯოჯოხეთსა შინა.

გაღუქდის და გაირყვნის ხალხი, რამეთუ პატივს არა სცემს საკურთხითა, ალაპითა, წირვითა და ქელეხითა მოძღვარსა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ჟამსა ნახვისა ხუცესისა (უფროორე ცისკრობისას) სოფლელი ხელსა იკიდებს ადგილსა სამარცხვინოსა, რამეთუ იშოროს დანავსა ხუცისაგან.

და აოხრდა ქვეყანა ესე. შენობასა საყდართა ყველგან დაეპატრონნენ ეშმაკნი (რაიცა ნიშნავს კომკავშირელთ) და შიგ ნაცვლად „მამაო ჩვენო“-სა და „ალილუიასი“ გაისმის „ინტერნაციონალი“, „რაშო-რერა“ და სხვა გალობანი უწმინდურნი.

მძიმე არს ყოფა ჩვენი, რამეთუ ხალხმა ზურგი აქცია რჯულსა და ზნესა. კუთხესა ყოველსა და სოფელსა ყოველსა შენდების სკოლა, რომელ ძირს უთხრის სარწმუნოებასა და ღვთისმსახურებას.

მძიმე არს მდგომარეობა კულაკთა, ვაჭართა და სხვათა. კულაკს არ ძალუძს ოფლითა სხვისითა აგროვოს პური გასაყიდი ბაზარზე, რამეთუ აღარ არიან უვიცნი, რომელნიც მისთვის მუშაობდენ ჟამსა უცოდინარობისასა მანეთად ერთსა.

მოისპო სოფლად სამიკიტნო ადგილი წმინდა, სადაც ზიარებისა ღვინო ისმებოდა ყანწებითა და ჩაფებით; სადაც იყო პურის ჭამა გემრიელი და სალხინო. მაგიერ იმათ არს სასადილო გლეხკომის, სადაც აკრძალულ არს ღვინის სმა, მით ზიარება და ცხონება სულისა და ხორცისა.

დაობლდა და დაობდა სახარებანი და წიგნი ღვთისა, რამეთუ არა ჰყავთ მათ მკითხველი არვინ.

და დააფრთხო მყუდროება სოფლისა მანქანებმა ეშმაკისანმა, რომელ არს: ავტო, ტრაქტორი და მფრენი ჰაერსა შინა, ვითარცა ჩიტი შექმნილი ღვთისაგან.

აღარ არიან ქალნი გულუბრყვილონი, ვითარცა ღვთისმშობელნი, რომელთა მსგავსათ მარიამისა შეიძლებოდის შეცდენა და სიყვარული მოყვასისა ხუცისა.

წესისა და კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, იგივე არს—ლიკვიდაცია სარწმუნოებისა და ღვთისა, რამეთუ ესე უკანასკნელნი ემყარებიან სიბნელესა, ხოლო სიბნელე იგივე არს, რაიც უვიცობა.

კრულვითა ჩემისა ღვთისა და მაცხოვრისა წყეულ იყოს ნაბიჯი ესე ხალხისა განათლებად და საგმობად ზეცისა.

შტატგარეშე დარჩენილი, უეკლესიო მღვდელი:

ტარასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიუროკრატი:—რატომ არ გზავნით ქალაქში შვილებს სასწავლებლად?
— გვეშინია, რომ შენისთანა არ გამოვიდეს.

მოძრავი რედაქცია

ისეთი სევდიანი, ისეთი დაღვრემილი თავის დღეში არავინ მენახა.

ასე ეგონებოდა კაცს, მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამი გულზე აწევს და საშინელ სულიერ ტრაღედიას განიცდისო.

თითქმის ყოველ დღე დადიოდა სახელგამის დერეფანში. დადიოდა თავჩაღუნული, ხელში მთელი დასტა რვეულები ეჭირა და ხმას არავის სცემდა. მხოლოდ როცა ვინმე კარს გააღებდა და შეავიდოდა, ის თავლებ დაჭყეტილი გაფაციცებით მიაშტერდებოდა შემომსვლელს.

ხანდახან, როცა დაიღლებოდა, იქვე სკამზე ჩამოჯდებოდა და იყო გარინდული.

მისმა ყოველდღე შეხვედრამ თითქმის ჩემზეც იქონია გავლენა. სევდიანობა დამეტყო.

ასე მიდიოდა დღეები.

ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ერთი კვირის შემდეგ შევალე თუ არა სახელგამის დერეფნის კარები და თვალი მოვკარი თუ არა „მწუხარების რაინდს“ პირდაპირ მივედი და ვუთხარი:

— ამხანაგო, აღარ შემიძლია თქვენს ეგზომ ტანჯვას ვუყურო. მე გადავსწყვიტე გავიზიარო თქვენი ტანჯვა, რომ ოდნავ მაინც შეგიმსუბუქოთ მწუხარება. მითხარით რას შეუბოჭავს აგრე თქვენი გული?, რათ დადიხართ აქ, სატრფო ხომ არ დაკარგეთ! რას ეძებთ?

— ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციას! — ამოოხვრით წარმოსთქვა მან და სევდიანი თვალები მომაშტერა.

— რაო, რაო? —გაოცებით წამოვიყვირე მე.

— მე ვეძებ ჟურნალ „მნათობი“-ს რედაქციას და კანტორას. ხომ ხედავთ, აგერ რამდენი მასალა მაქვს! — მითხრა მან და ხელით რვეულები მიჩვენა.

— ერთი კვირაა აქა ვარ; მითხრეს რედაქცია ამ შენობაში არისო და ისეთი კაცი ვერ ვნახე, რომ მიმითითოს სად არის.

— თქვენ გინდათ „მნათობი“-ს რედაქცია და კანტორა?

— დიახ, მინდა, და თუ იცით, დამიხსენით გაჭირვებისაგან მითხარით სად არის! —მითხრა მან და ცრემლმორეული თვალები მომაშტერა

— შე კაი კაცო ამდენ ხანს ვიტყოდი, რას იკლავდი თავს; „მნათობი“-ს რედაქცია გინდათ?

— დიახ „მნათობი“-ს რედაქცია.

— შე კაცო, მერე ამდენხანს ვერ სთქვი?! ეხლავე წავიდა, სულ ორი წუთი არ იქნება რაც წავიდა.

— როგორ თუ წავიდა?! გაოცდა „მწუხარების რაინდი“.

— განა რედაქცია დადის?

— დიახ, დადის, თავის ფეხით დადის. ყოველდღე მოდის და ყოველდღე მიდის. ხან ფეხით და ხან ტრამვაით.

— თქვენ ალბათ დამცინით —წყენით წარმოსთქვა მან —სად გაგონილა რედაქცია დადიოდეს, ის ხომ ცოცხალი ადამიანი არ არის, დაწესებულებაა.

— კი, თქვენ ნუ მომიკვდებით, დადის! „მნათობი“-ს რედაქცია, აშკარად დადის!

— ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავია! სად გაგონილა რედაქცია და კანტორა დადიოდეს?

— თუ არ გჯერათ, დაუდარაჯეთ; დღეს ან ხვალ დილით, ან ნაშუადღევს, აქ ჯეჭველად შემოვა ერთი ახალგაზრდა, პირტიტველი, ლოყები ისე აქვს დაბრაწული, როგორც თურაშაულის ვაშლი, თუმცა შავია, მაგრამ ლოყებზე ბროწეულის ფერი დაჰკრავს. ეს ბახმაროს ბრალია. ყოველ ზაფხულ ბახმაროზე დადის. სწორედ ის არის „მნათობი“-ს რედაქციაც და კანტორაც. პირდაპირ შეგიძლიათ მას მიმართოთ.

— ვინ არის ეს ყმაწვილი.

— ეს ყმაწვილი გახლავთ ამხ. მოსე გოგიბერიძე.

— პირველად მესმის ასეთი საოცარი ამბავი.

— კი თქვენ ნუ ნერვიკვდებით! მოსე გოგიბერიძე გახლავთ. „მნათობი“-ს რედაქცია. კანტორაც თავის დიდ პორთფელში აქვს და ხელში უჭირავს! თუ რამე მასალები გაქვთ „მნათობ“-ში დასაბეჭდი, შეგიძლიათ აქ დაუცადოთ და გადასცეთ.

„მწუხარების რაინდმა“ მადლობა გადამიხადა; ხმა არ ამოუღია ისე მომშორდა, ჩამოჯდა იქვე სკამზე და ნოსეს მოლოდინში ტკბილად ჩასთვლიმა.

ჭინჭრაქა

ჩვენი მსუბუქი კავალერიის თავდასხმა

ყუმბარა

ტფილისის მაუდის ქარხანაზე



ქარხანაში ასობით
წააწყობით „მფრინავებს“,
ასი ოქროც
რომ მისცენ,—
ვერვინ დააბინავებს.
სპეცტანსაცმელს
ჩაიცმენ,
დაიწყებენ ზმორებას,
ითხოვენ
ანგარიშას
ქარხნიდან გასწორებას.
და ვით მავნე კალია
მიფრინავენ სხვა მხარეშ-
მუსრი მაგათ—
რომ შიწყდეს
მავნებლური თარეში.



ეს გულნარა ალავიძე
ქარხნის მუშა-ქალია,
„ოცნებებმა წარიტაცეს“
მისი გულის გალია.
ფიქრობს:
„ვნახავ ჩემს“ ტარიელს
ბაგეს დავეწაფები...“
და მანქანის თითის ტარზე
—„ობლად“ წყდება ძაფები.

თვალმაქცობის ოსტატია
დავიდოვის ნატალია,—
სიმულიანტობას იჩენს,
არავინ ჰყავს ბადალია.
რამე საქმეს თუ ავალებ,
ავად ხდება იგი მაშინ,
ლექურში თუ გამოიწვევ,
ხელად გეტყვის:
აბა, ტაში!
ასეთია თვალის მაქცი
დავიდოვის ნატალია,
ხრიკებში და გაცდენებში
არავინ ჰყავს ბადალია.



ოდესღაც სადღაც, ბნელ კაბინეტში
სხდომა ჰქონია ფარული ტრესტსა,
შეუთხზავს გეგმა საწარმოო და
არ აჩვენებდა დღის სინათლესა.
„ამ საწარმოო რამ საიდუმლოს“
(ასე ეძახდა მას დირექტორი)
დიდი ბოქლომი დაადვეს თურმე—
(სიმართლეს ვამბობ, არ არის ჭორი).
დიდხანს ელოდენ... არ სჩანდა გეგმა
როგორც ზღაპრული ნათელი სვე-
ტი,
და იგი გეგმა თუ ვით შესრულდა,—
მასზე ბაასიც იქნება მეტი!..



ჰა, იცნობდეთ **ოთარიშვილს,**
სახელი მისი **ნინა,**
ორშაბათ დღეს
გვიან ადგა;
სამშაბათი—გააცდინა.
ოთხშაბათს კი, „თავი სტკივა“
მუშაობის არ აქვს ხოში
როგორც ცუდს და
როგორც ზარმაცს
ყველა იცნობს საამქროში.

კატო გახლავთ, **ბუდინოვი,—**
ისეთია, როგორც ფაფა.
და ბეჯითი
შრომისათვის
ინახულა
შავი დაფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძველი და ახალი“

გიორგი სხვა ქალაქში გაგზავნეს სამუშაოდ.

ეს ამბავი ძალზე გაუხარდა თანამშრომლების უმრავლესობას.

— მადლობა ღმერთს, მოგვშორდა! — ამბობდენ ისინი.

— სპირდონ, შენზე მალარიჩია; ყველაზე უფრო შენ ჰყავდი მიზანში ამოღებული! — უთხრა მდივანმა საქმეთა მმართველს.

— არც შენ გაკლებდა ხელს, შენაც უნდა გადაიხადო! — უთხრა საწყობის გამგემ მდივანს.

— მე თუ მკითხავთ, ყველას გვმართებს მალარიჩის გადახდა. საერთოდ გადავიხადოთ ყველამ. თვითონაც მოვიპატიჟოთ, თითქოს გვეწყინა მისი წასვლა და გამოსათხოვარი ვახშამი გავუმართოთ.

— კარგი აზრია. ვინ იცის, ეგებ შემდეგ ისევ დაბრუნდეს და მადლიერი გვეყოლება!—დაუმატა იურისკონსულტმა.

—:—

და, მართლაც მშვენიერი ვახშამი გაუმართეს გიორგის.

— ჩვენ არა ვართ გულჩვილნი, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ჩვენგან მიდის და ჩვენ გვშორდება ჩვენი საყვარელი გიორგი, თვალები ცრემლებით გვევსება, რა გული გაუძლებს, როცა კაბინეტში გიორგის მაგიერ ჩვენ სხვა კაცს დავინახავთ?! დიახ. ძნელია ისეთი კაცის მოშორება, რომელიც თავის-თავზე უფრო გვიყვარდა; რომელმაც ფეხზე დააყენა ჩვენი დაწესებულება; რომელიც ყოვლად უმწიკვლო და პატიოსანი პიროვნება იყო... ჩვენგან მიდის, ამხანაგებო, ჩვენი საყვარელი და ძვირფასი გიორგი, მაგრამ ვაძლევთ მას პატიოსან სიტყვას, რომ არც ერთი ჩვენთაგანი მას არ დაივიწყებს და ყოველთვის მისი თაყვანისმცემელი ვიქნებით... ისოცხლეთ, ჩვენო საყვარელო, ძვირფასო და მშვენიერო გიორგი მუდამ ჟამს და ვისურვებდით, რომ ისევ მალე დაბრუნებულიყოთ ჩვენთან! — დაასრულა სადღეგრძელო თამადამ.

— შენს ენას თავგის შაქარი!

— ღმერთმა ნუ ჰქნას!

— რას სულელობს ეს კაცი! — გაიფიქრეს გულში და გიორგის სადღეგრძელოს ტაშით შეხვდენ.

ქალებმა ცხვირსახოცები ამოიღეს და „ცრემლიანი“ თვალები ამოიწმინდეს.

ახალი გამგე მოვიდა.

— ეს ასე არ ვარგა; ეს ასე აჯობებს და ასე უნდა გაკეთდეს! —ამბობდა ახალი გამგე.

— სულ ამაზე ვეჩიჩინებოდი ძველ გამგეს, მაგრამ ისეთი ბაიყუში იყო, რომ მისგან არაფერი გამოვიდა! — თავი იმართლა საწყობის გამგემ.

— საქმის წარმოებაში საჭიროა რაციონალიზაციის გატარება! — უთხრა ერთ დღეს ახალმა გამგემ მდივანს.

— ო, რამდენჯერ ვუთხარი ამის შესახებ ჩვენს ძველ გამგეს, მაგრამ ყურადღებაც კი არ მიაქცია. რა დროს რაციონალიზაცია არის, როცა ჯერ ინდუსტრიალიზაცია არ დაგვისრულებიაო. აი, ასეთი უვიცი კაცი იყო ჩვენი ძველი გამგე... ეხლა, მადლობა ღმერთს, თქვენ ბრძანდებით და... და თქვენისანა გამგე რომ გვყოლოდა თავიდანვე, ეხლა ჩვენ ხუთწლიანი გეგმა შესრულებული გვექნებოდა. თქვენ რომ არ მოსულიყავით, ჩვენი დაწესებულება კატასტროფის პირას იყო. სწორედ კარგ დროზე მოგვისწარით, ხელი გვტაცეთ და გადაგვარჩინეთ უფსკრულში გადაჩეხისაგან! — გააცნო მდგომარეობა ახალ გამგეს მდივანმა.

—:—

გავიდა ხანი.

ისე მოხდა, რომ გიორგი ისევ დააბრუნეს.

თანამშრომლები პანიკამ მოიცვა.

— დავიღუპეთ და ის არის! — დაღონდა მდივანი.

—სულ შენი ბრალია; არ გახსოვს გამოსათხოვარ ვახშამზე სადღეგრძელოში რომ უთხარი: „გისურვებთ მალე დაბრუნებულიყოთ ჩვენთანო?... ვერ გააჩერე მაგ საძაღლე ენა პირში? ახია შენზე! — უთხრა საწყობის გამგემ ყოფილ თამადას.

— არც მასეა საქმე! ერთი მითხარით, რით იყო ახალი გამგე ძველზე უკეთესი?

— მე თუ მკითხავ, არაფრით.

— რა ვიცი რა! ახალ გამგეს ყოველთვის კუდში დასდევდა და ძველი გამგის გინების მეტს, არათერს აკეთებდი.

—:—

როცა გიორგი ისევ გამოიჭიმა თავისს კაბინეტში, თანამშრომლები სათითაოდ შედიოდენ და ულოცავდენ!

— დიდად მოხარული ვართ თქვენი დაბრუნებით, თორემ ჩვენი დაწესებულების საქმე წასული იყო!

ისელი.

ჭიათურა

შავი ქვის ტრესტში რომ ყოფილა ხალხია,
მინდა რომ იმათზე გიამბოთ რამ:
კალისტა მფარველობს, — იძახის **ყანჩელი:** —
მე ვინ რას დამაკლებს, იკითხოს სხვამ.
როდესაც მოვდივარ „ფრონტში“ დამიდექი!
რის მეჯინიბე ხარ, გუნცაძევ, შენ!
ცხენის ხმა მოგესმას, იცოდე, ეს მე ვარ!
მიფრთხილდი, გაგლახავ, არ მოგარჩენ!—
ამრიგათ ყანჩელი კადეტურ თვისებებს
ჩვენს დროშიც ატარებს, არ იხრის ქედს.
ძველ დროში, თუ გნებავთ, მრისხანე ბატონიც
არაფერს გვიშლიდა ამაზედ მეტს.
დიმიტრი მელქაძეც, მუშკოოპში რომ არის.
ბოროტად იყენებს თავის უფლებებს:
ერთგვარი ვიწრო წრე შეკრიბა გარშემო,
ყურს აღარ უგდებენ არავის სხვებს.

მუშკოპში მოსული სახმარი ნივთები
საწყობში ჰქრებიან, ღაფავენ სულს;
დიდ ჯამაგირიანს — ფარულად აძლევენ,
წვრილფეხა ხალხი კი საშინლად სძულთ.

და მთელი სერია მათ **ალიბეგოვთა**
არ გამოელევათ მე ვფიქრობ ჯერ.
სანდისის ქვეშა სთქვი დიმიტრი თუ ამას
მე მართალს არ ვამბობ და ტყუილს ვწერ.

აქვე შევეხოთ კულტმუშაკ **ქორიძეს,**
ქოხ-სამკითხველოში რაც რამე ძევს,
საჩუქრათ იძლევა შემდეგი წარწერით:
„ჩემს მეგობარსა და ჩემსავე ძმებს“.
არავის არა აქვს, მე მგონი, უფლება
საერთო ქონება აჩუქოს სხვას.
ჩვენ მარქსის „კაპიტალს“ უკანვე მოვითხოვთ,
სხვას ვანდობთ ტარტაროზს; რაც უნდა, სთქვას.

უნდო.



მედავითნე: — დამკვრელმა მუშებმა 7—8 თვის განმავლობაში იმდენი ფაბრიკა-ქარხნები გააჩინეს და ნუ თუ ღმერთი ვერ გააჩენდა 6 დღეში ქვეყანას?!

სცენა განსახკომში

1-ლი სტუდენტი (ბუღალტერს) ამხანაგო, არიგებთ დღეს სტიპენდიებს თუ არა?

ბუჰღალტერი —(მებუ.ჯე) სახელმწიფო ბანკი ფულს არ გვაძლევს და მე რა გიყოთ! ჩემი ჯიბიდან ხომ არ მოგცემთ?

მე-2 სტუდენტი — მაშ, რა ვქნათ! ორი დღეა—საჭმელი არ მიჭამია! მშიერი დავდივარ .. (მარილის სათავეს ზევით ექაჩება).

ბუჰღალტერი (ციცქიშვილი): მოითმინეთ ამხანაგებო... კუჭს თუ აყევით, რაღა ვაჟკაცები ხართ, ხვალ შემოიარეთ და მოგცემთ, თუ რასაკვირველია, ბანკმა ფული მოგვცა.

სტუდენტი (მესამე დღეს) არის დღეს სტიპენდია ამხანაგო?...

ბუჰღალტერი: არ არის! ბანკი ფულს არ გვაძლევს.

სტუდენტები: ტყუილია!... ტყუილია!. ბანკი კი არა, მაგათ ეზარებათ თავის შეწუხება... რა ვქნათ ამხანაგებო! მუცლები პროტესტს აცხადებენ! აგერ რამდენი ხანია აქ დავდივართ, სწავლაზე ვცდებით და აქ კი დღეს—ხვალობით გვკვებავენ!...

ბუღალტერი: — ეხლა ყველანი წადით და ხვალ ფული იქნება!..

სტუდენტი — არ შეიძლება! ფული დღეს უნდა გაგვაჩინოთ! ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით! (ჩხუბი, აურზაური, სიების შედგენა, ისევ დახევა, კეტების ტრიალი და სხვა).

მოქალაქე: უკაცრავად ,აქ შრომის ბირჟა ხომ არ არის?...

სტუდენტი: რას მიქარავ... შრომის ბირჟას აქ რა უნდა!? აქ—ს. პ. ი-ს სალაროა...

ბუღალტერი: დღეს არაფერი იქნება! ისევ ხვალ...

სტუდენტები: ეს როგორ შეიძლება! გვატყუილებთ, გვაცდენთ!.. აბა, ამხანაგებო, პირი მუშგლეხინსპექციისაკენ! ავუხსნათ ყოველივე, წავიდეთ, გავიგოთ, აქ ბანკის ბიუროკრატების ხელი ურევია, თუ განსამფინგანისა.

ბუღალტერი: მოიცათ, ამხანაგებო. ეხლავ გავგზავნი ბანკში კაცებს, რომ ფული მოიტანონ...

სტუდენტები: (ყვირიან) აბა, მალე!...

ბუღალტერი: დამშვიდდით, თუ ოთხი დღეა არაფერი გიჭამიათ, სამაგიეროთ დღეს ფულს მიიღებთ.

სტუდენტები: ოღონდ ფულის მიღებას მოვესწრებოდეთ და ისე გამოვძღებით, რომ ორ კვირას აღარ მოგვშივდეს!

ბრაგუნა

ისმინე უფალო და განათლებულო კაცობრიობავ

(თეთრგვარდიელთა გაზ. მოწინავე)

„ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ ბოლშეიკები ცდილობენ დაღუპონ მთელი ქვეყანა და საამისოდ ძალღონეს არ იშურებენ. ჩვენ დავსწერეთ, რომ კომუნისტური პარტია იმდენად გათამამდა, რომ ამერიკულ ტემპებს უსწრებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში, რაც პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში დაღუპავს მთლიან და განუყოფელ რუსეთს. და მართლაც, ბოლშევიკებმა აიყოლიეს მთელი მუშათა კლასი და მოსპეს კერძო საკუთრება. უცხოელებს და ჩვენც, რუსეთის ყოფილ კაპიტალისტებს ყველაფერზე უარი გვითხრეს და წაგვართვეს რაც გვქონდა.

ჩვენ ვამბობდით და ვამტკიცებდით, კიდეც, რომ ბოლშევიზმი გაანადგურებს ყველაფერს და აი, ახალი დამამტკიცებელი საბუთი: ისინი წელს იწყებენ საყოველთაო სწავლის შემოღებას.

საყოველთაო რომ არის, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს საყოველთაო სწავლა სავალდებულოა! ეს ნიშნავს, რომ ყოველი უვიცი მუშა და გლეხი წერა-კითხვას ისწავლის და გაზეთების კითხვას დაიწყებს! წარმოიდგინეთ რა იქნება, როცა ყოფილ მეფის რუსეთში, ახლანდელ საბჭოთა კავშირში ყველას წერა-კითხვა ეცოდინება! რა უნდა წაიკითხონ მათ რუსეთის ისტორიაში ისეთი რამ, რომელიც მათ გულს მოფხანს კარგი წარსულის მოგონებით? ოღონდაც, რომ არაფერი! ჩვენ არ ვმალავთ, რომ ჩვენი ძველი განუყოფელი რუსეთის ისტორია მეფეების, თავადების, მემამულეების და აფიცრობის ისტორიაა, რადგანაც ჩვენ და არა მუშა და გლეხი იყო ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

ამიტომ ვიძახით ჩვენ, რომ საბჭოთა კავშირის მცხოვრებლები რომ გამოუკლელივ ისწავლიან წერა-კითხვას, ეს ჩვენთვის, თეთრი ემიგრანტებისთვის სრულებით არ არის ხელსაყრელი. პირიქით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საზიანოცაა. ამიტომ განათლებული კაცობრიობის ვალია, შეაგროვოს შემოწირულება ჩვენს სასარგებლოთ, თორემ ამ ემიგრაციაში შიმშილით ვიხოცებით, მეორეც—იმავე კაცობრიობის ვალია, აიღოს ხელში მახვილი და ჩვენთან ერთად შეუტიოს საბჭოთა კავშირს, თორემ მერე გვიან იქნება: წერა-კითხვასაც ისწავლიან, ხუთწლედსაც შეასრულებენ და მერე მოგვჭამა ჭირი.

ყველა ამის გამო, ჩვენ, უცხოეთში მყოფი თეთრგვარდიელები, ქვევით ქვეყნის და მაღლა ჩვენი დამვიწყებელი ღვთის გასაგონათ ვიძახით: — Ка-р-р-р-р-ра-ул! გვიშველეთ, საბჭოთა კავშირში წერა-კითხვის უცოდინარობას სპობენ... მილიციონერ-რ-რ.....

გადმოცემულია რადიო-ყვირილით,
მიიღო: მელითონემ.

პატაკი „ტარტაროზ"-ს
(სოფ. ბოდბისხევიდან)

წიპლუგინი მიშა—
ცხენმა ძირსა სთხლიშა
ბოდბისხეური ანდაზა

სოფელ ბოდბისხევს, კახეთში—
აქებენ კარგი მხარეა...
მას „იცავს" ბაჟი „ქებული"—
აქ საბჭოს თავმჯდომარეა!

—:—

ყარამან-ყათლანს გაგონებთ—
„დამშენებია მხარია;
სახელი მისი მიშაა—
და წიპლუგინის გვარია!

—:—

ფხიჭელს ვერ ნახანვთ, რადგანაც
ჩაფცთ სვამს—მუდამ მთვრალია;
ვეღარც ზემდგომმა ორგანომ—
ვერ „მიატანა" თვალია:

—:—

იმასა სჩადის—რაცა სურს—
ყველა ფეხებზე ჰკიდია;
არაფერია, თუმც თავზე—
წარმოდგენა აქვს დიდია!

—:—

ფეხზე ძლივსა დგას ის, როცა
შემოვა ალმასკომშია;
ყველას ლანძღავს და აგინებს—
თანამშრომლებთან „ომშია"!
კომკავშირელებს არ ინდობს—
მალიმალ ამწყვდევს გომშია!..

—:—

მოჯამაგირეს ულრინავს—
მომსვლელთ ეპყრობა ცუდათა;
„მიწა ქალაბნად არ უჩანს—
და, ცა კი თავზე ქუდათა".

—:—

თბილისით ვინმე მოსულსა:
სისხლი ადინა ცხვირშია;
ბევრი ვართ გასაჭირშია;
(მისგან ასეთი „საჩუქრით"—

—:—

შემდეგ გომურში შეაგდო—
შველაც ვერავინ გაბედა,
რადგან არ სურდა არავის,
შეგინებოდა რომ დედა.

—:—

ის თვალებს უბრიალებდა,
ყველას, მუშტით და მუქარით;
განთიადზე კი პატიმარს
მიადგა ხვეწნა-მუდარით:—

—:—

— მომეცი ხელწერილი რომ
მე არ მიხლია ხელიო;
თუ არა, დედას გიტირებ,
მათრახით გეახელიო!

—:—

შეშინდა პატიმარი, და—
„დათანხმდა" მიშას ნებაზე...
(ეს „თავმჯდომარე" ერთხელაც
არვინ ამხილა კრებაზე?!)

—:—

სახელმწიფო ფულს, როგორც
სურს
ისე აბნევს ეს ყველგანა...
ყველა თავისი ჭგონია—
ბოდბისხევი და... ქვეყანა!..

—:—

ისე თამაშობს, რომ სულაც
არვისი არა სცხვენია...
შვიდას მანეთად იყიდა—
მან, ხალხის ფულით, ცხენია!

—:—

შეკაზმა... აიალ ბატონმა...—
გავას მიადგა კეხია...
შეჯდა... მაგრამ ძირს დაეცა—
გადაიმტვრია ფეხია...*)

ტარზან.

*) ჯანდაბას! ფეხი რა არის —კისერიც მოუტეხია!

ტარტაროზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოც. შეჯიბრი

(ყოფილი ვაჭრის ნაამბობი)

„ააფრინე ალალიო, რაც არ არი არ არიო“ — მამა უცხონდა ამის მთქმელს! არა, რას ვიფიქრებდი თუ ნეპიც ბიუალატებდა? ჯერ იყო და ერთმა რიალიაციამ, აი იმას გეუბნები 1917 წელში რომ მოხდა, — შემაშინა; რიალიაციას თან ომები მოყვა. მარტო მე და ჩემი მეზობლები არ ვომობდით, თვარა სხვა ყველა ომობდა. ჩვენს უბანში კომისრები დღე და ღამესავით იცვლებოდენ. ერთი სიტყვით, რიალიაცია იყო რაღა! ჩვენც კიდევ ფეხის ხმას მივყვებოდით გავიხედეთ, მეორე რიალიაციაც კარზე მოგვადგა. ძალზე შევშინდით, მაგრამ აქაც რას ვიზამდით! თურმე ნუ იტყვით რიალიაციას ვილაც ნეპი ჩამოყოლოდა. ვა, რაც მე მისთვის ქება მითქვამს, ვინ მოსთვლის! დავიწყე ვაჭრობა; — რას იცინით? ჩემი საქმე სხვა რა იყო? თუმცა ახალგაზრდები ყალყზე დგებოდენ, მაგრამ ეს ჩემ დახლს რას უზამდა? ვიყავი ჩემთვის; არც არავინ მერჩოდა, არც არავის ვერჩოდი. გავიხედოთ, ჩვენი მიხას ლაწირაკი ბიჭი პორტფელით ხელში პირდაპირ ჩემთან შემოდის. როგორა ხარ კოტიკ-ჯან? — ვეკითხები. — მინდა რაღა, რომ ვაამო; ხუმრობა ხომ არ არის პორტფელით მოვიდა; თან იმოდენა სათვალეები აქვს, თითქოს ხიმიჩესკი რამე გაზავი ატაკისათვის ემზადებოდეს, ყურადღებას ვინ გაქცევს. სკამს ითხოვს; ჯდება. პორტფელს ხსნის და თანაც ისე მომჩერებია, თითქოს ერთი ვინმე პოსლედნი კაცი ვიყო. აფსუს, ეს ლაწირაკი ჩემი ნათლული მაინც არ იყოს!

— რა გვარი ხარო! სახელი რა გქვიანო!

— ვეუბნები:

— კოტიკ-ჯან, ეგეთი ფორმალობა არ საჭიროა, ხომ კარგად იცი ვინცა ვარ, ან რაც ვარ. მოდი, შენ სიყრმეს, მოკლედ მითხარი, რა გინდა, რას ითხოვ, რა ვიცი, ხალხნი ვართ, იქნებ როგორ გიჭირს..

საქმე არა გაქვს?

— შენ მექრთამე ხარო; შენ ასეთო, შენ ისეთო.

ვირის აბანოთიც კი დამემუქრა. მე ძალიან გავბრაზდი, მაგრამ რას ვიზამდი? ერთი რაღაც ჭაღალდი დასწერა; პატენტი დამიწუნა, — ვადა გასული აქვსო და წავიდა. ის იყო და ის. მას შემდეგ ნალოგი ნალოგზე მომდიოდა. ბოლოს, რომ აღარ მომეშვენ, მეც შტუკა ვქენი. ავიღე, ვაჭრობას თავი ვანებე და ერკოპს მივადექი. ერკოპში ჩემი მისვლა ძალიან იამათ. მითხრეს აქა თუ კრასნი სპეცი გახდებიო და ერთ დიდ მაღაზიაში გამგზავნეს სავაჭროთ. გავიხედოთ, აქაც ვილაც ახალგაზრდებს რაღაც ბრიგადა შეუდგენიათ, მეუბნებიან, სოციალისტურ შეჯიბრზე ხელი უნდა მოაწეროდეო. მეორე მაღაზია გვყავს გამოწვეულიო. ვეუბნები: თქვე დალოცვილებო, საჯიბრო რა გვაქვს: მტრები ხომ არა ვართ ერთმანეთის, ან კრივობია ხომ არ უნდა გავმართოთ?!

საქმე არ გაქვს? ისევ მე გამამტყუნეს: შენ ძველი კაცი ხარო და პირიქით დარიგება დამიწყეს. აფსუს, ეს ლაწირაკები უნდა მასწავლიდენ ვაჭრობას?!. შაშინ ჩემი სიყრმე მოკვდეს, რომ რვა მეტრი ათ მეტრათ არ გამოვიყვანო! მაგრამ ამაებს ხომ ვერ ვეტყოდი. მეც ძუძუს გოჭივით გავინაბე, — ვითომ რაა, არიფი ვარ და ჭკუის დარიგება მჭირდებათქო. ამაც ვხედავ, მეორე მაღაზიიდან ჩემს ნაცნობს მაქსიმეს მიაქვს ფართალი, შაქარი ფეხსაცმელები... ერთი სიტყვით სახლში ყოველ დღე ოატვირთული მოდის.

— ვა, თუ შეჯიბრებაა, შეჯიბრი იყოს! — ვიფიქრე, და დავიწყე მეც გაზიდვა. თუ სხვას ათი მეტრა მიაქვს, მე ოცს ვიღებ; თუ სხვა ხუთ კილო შაქარს ინახავს, მე ათ კილოს ვეზიდები! სხვას რისთვის უნდა ვაჯობნიო! მააშ! ჰამაც იმედი მაქვს, რომ წითელ დაფაზე დამწერენ. ხუმრობა ხომ არ არის: შეჯიბრში პირველი მივდივარ! გავიხედოთ ია ჩემი ბინის გასაჩხრეკათ მოვიდენ. ცოლი მეუბნება: ადექი, უნდა დაგვჩხრიკონო. მეც არხეინად ვარ. ვიცი, რომ საეჭვო არაფერი მომეპოვება. მაგრამ ნუ იტყვით, თურმე ისინიც სწორედ შაქარს და ფართალს ეძებენ. ნახუჯობენ და მეუბნებიან: შენ ესენი არ გერგებაო. ვებნები: შენ, ძმაო, ცოციალისტური შეჯიბრი იცი?! მაშ, თუ იცი, ისიც უნდა იცოდე, რომ ჩემს თავს ტყვილა არავის დავაჩაგვრინებ! თუ სხვებმა გაიტანეს, მე რაღათ უნდა ჩამოვრჩე? მაშ, ხელი ტყვილად მოვაწერე?!

მიქარავო; გინდა თავი სულელად მოგვაჩვენოვო,— და პირდაპირ ვირის აბანოში მიკრეს თავი.

ორი კვირაა, რაც იქიდან გამოვედი. გუშინ არტელში მოვეწყვე. ჯამაგირი ცოტაა. ბიჭებმა მითხრეს, გამორჩენა იქნებაო. მაგრამ აქაც თუ ცოციალისტური შეჯიბრია, გული არ მომითმენს და იცი ვირის აბანოს ვერ გადავრჩები. მახლას რა დრო დადგა...

მელა-კუდა

„დამკვრელები“

— ორი ბოთლი არაყი უკვე გამოვცალეთ და მესამესაც ღდინი გავართვით! გაუმარჯოს ჩვენი „საწარმოო გეგმის პირნათლად შესრულებას!.

„ზოგიერთ მივარდნილ სოფლებში სამკითხველოები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ და უპატრონოდ არიან მიგდებული“. (გაზეთებიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცენა სოფელ „დაკარგულის“ სამკითხველოში

დ ე პ ე შ ე ბ ი

ყოფილები

ქუთაისი. „„წითელ ჯვარში“ მოუყრიათ თავი ყოფილ ხალხსა, დღეს ცხვრის ტყავში გახვეულებს, ვინც გვაძრობდა ტყავსა. ლიმონათის ქარხანაში საქმე გვიფუჭდება, სპეცი მარდალეიშვილი ქალებისთვის დნება. პავლიევმა ხელში იგდო ბურახის ქარხანა, ცოლი და ცოლის ძმები შტატში შეიტანა. შეიბრალეს მათ ვაჭრები, მყოფნი განსაცდელში, და თეთრ ხიდთან კიოსკები მათ ჩაუგდეს ხელში. ასეთია წითელი ჯვრის არეული საქმე, ტარტაროზო ჩამობრძანდი, გელოდები აქ მე.

(ხლისტი)

ყინწა ქალი

სოფ. ხევი, (ოზურგ. ყ. მაზ.) ეპოს მოლარეთ ბრძან დება მამალაძის ქალი, მუშტრებისთვის დრო არა აქვს, „ძმობილს“ უცქერს თვალით, სალაროში წამლათ გსურდეს არ იქნება ხურდა, მართალს გითვლი, ტარტაროზო სალოლ, ვალახ ბურდა.

(კიწა)

გაფრთხილება

ხონი. რაზე ფიქრობს პოლიტგანი, ნეტავი გაგვაგებინა; სამკითხველოს წესიერი არსად მოუნახა ბინა. დღეს აქ არის, ხვალ იქ არის, ატარებენ იქით-აქეთ, და გმირები თავს ირთობენ უსაქმური ლაპარაკით. ჩვენ ვაფრთხილებთ, დააჩქარონ სამკითხველოს ბინის შოვნა, თორემ სახტად დარჩებიან, ტარტაროზი როცა მოვა.

(ნიბრაში).

დამუნჯება

დილიკოური, (ზესტაფონი) დიდ ამბით ჩამოიტანეს რადიო დილიკოურში, გაწამაწია შეიქნა: „იმღერებს, აბა, ოუშვი“... იმღერა, მაგრამ უეცრათ რადიომ სული დალია, გარდაიცვალა, დამუნჯდა, არც სჭამს, არც ღვინო დალია.

ლახვარი

კრივიადა

იქიდანვე. ჩვენი კლუბის გამგეობა გულჩვილია და კეთილი, კლუბს ახლოსაც არ გაუვლის, კარები აქვს დაკეტილი.

(ალია)

დონჟუანი

თიანეთი. ალმასკომის მდივნათ არის ვინმე ლადო წიკლაური, მასთან ქალი ვერ მიბედავს თუნდაც იყოს შინაური. გალაღდა და გათამამდა, აღარ აგდებს არვის ჩირად, როცა კარებს უკეტავენ, სარკმელიდან ძვრება ხშირად.

(იავარი)

• დაიკარგა

ძველი ანაგა, (სიღნაღის რაიონი) დაიკარგა, ვერსად ვნახეთ ჩვენი მზე და ჩვენი მთვარე;—უგზო-უკვლოდ დაიკარგა ალმასკომის თავმჯდომარე.

(ნადიკვრელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი, ნახე!

კლუბებსა და ზოგიერთ წარმოებებში საყოველთაო სავალდებულო სწავლების საკითხის დამუშავებას არ ექცევა შესაფერი ყურადღება.

როდესაც ამ ორგანიზაციებს მისცეს შეკითხვა, თუ რა გააკეთეს ამ მიმართულებით, მათ განაცხადეს: „პროფკავშირებს არ მოუციათ დავალება, უამისოდ ჩვენ კი ვერ გავწევთ ხარჯებს, ვერ მოვრთავთ კლუბებს, სანამ დირექტივას არ მივიღებთ"-ო.

(გაზეთებიდან)

ადგილკომში აირჩიეს
ეს ჭაბუკი, ჩვენი „ძია"
საფინგეგმის ასრულებას
იმან ზურგი შეუქცია.

აჩუ, ცხენო!—დირექტივავ,
დირექტივავ, აჩუ!
მე უშენოთ ფეხს არ გავდგამ
შენზე ჯდომა „ხაჩუ"
შენ წამიყვან, შენ მომიყვან,
შენ ხარ ჩემი ალა,
თუ დამაგდებ, „ატვეჩაიც"
შენ იქნები, რალა!

— რასი გეგმა! რისი გეგმა?
სთქვა, თითქოს ვერ გაიგო რა
ამოუსვეს ნიშადური
ფარგასავით აიფხორა.

ვინაიდან ზამთრის სათეატრო სეზონი უკვე მოახლოვდა, ზოგიერთ კლუბებში და თეატრებში მსახიობებ შორის მუშტი-კრივი იმართება როლების განაწილების გამო, რადგან ყველა მათგანი სცდილობს მთავარი გმირის როლის ხელში ჩაგდებას, რომ მოკლე ხანში „პრემიერი" გახდეს.

(მუშკორის შენიშვნიდან).

ჩვენ არ ვუჯერით
მუშკორის ცნობას,
ეს არის მხოლოდ—
— „რეპეტიცია".—
ზოგიერთებმა
„როლში შესვლის დროს"
ჩვეულებრივად.
ასე იციან.
თუ ზოგიერთებს
კეტი და სკამი
ამ გმირთა ხელში
სხვაგვარად ესმით.—
სცდებიან!.. არის
რეპეტიცია,
მხოლოდ ტარდება...
„დაკვრითი წესით".

გ ო დ ო რ ი

ბ-ს (აქვე) თქვენი ლექსი „სპეცი ქალი" ასე იწყება:

„მოლარეა სპეცი ქალი
კოლექტივის ოც წერტილში
მისმა ქცევამ მომხმარებლებს
გაუჩინა **წყალი წელში**"

ასეთი „სპეცი მოლარე" ხომ წყალწაღებულია, მაგრამ არც თქვენ ყოფილხართ მაინცა და მაინც დიდი „სპეცი პოეტი". ეცადეთ უკეთ დამუშავებას.

ბიჭიკოს (ზესტაფონი)

ბიჭიკო,
შენი შარადა
არ გამოგვადგა
არა და,
გადაუძახეთ
გოდორში,
ტკბილად იძინებს
მარადა!

გ. ბ-ს (აქვე) სურათებზე უნდა მოაწეროთ თქვენი სახელი, გვარი და მისამართი.

კი-კის (სოფ. **შროშა**) თემალძასკომის თავჯდომარის ვალერიან გველესიანის შესახებ სხვათაშორის გვწერთ:

ვარლამი წყალმა წაიღო
ცხენებზე დანაგეშია,
ვალერიანი დღე და ღამ
თევზაობს ბადით ხელშია!

კაცია და ხასიათი! რა ქნას, —ითევზაოს! მხოლოდ თავს უნდა გაუფრთხილდეს, რომ თევზების მაგიერად ბადეში თვითონ არ გაებას.

გ. გუ-ნელს. (სოფ. ნიგვზიანი) სენსაციურ ამბავს გვატყობინებთ:

„მზარეული საცვლებს რეცხავს
სახარჩოვე კასრულებში,
კატებს დანით ეჩხუბება
ერთიც დაკლა იმ კვირეში"

„ფერი-ფერსაო," ამბობს ქართული ანდაზა. ალბად წუწკი კატები ყოფილან და წუწკი მზარეული გამოსჩენიათ.

ბივის (აქვე) აი თქვენი წერილი:

„აფანაკო ტალტალოზო! ეც ელთი ლეცი დამიმეწდეთ თვენ ზუნალჩი"

— ალ ვალგა; ალ დაიბეწდება.

ფრო-ს (აბაშა) თქვენი „სიზმრის ახსნა", ისე დიდია რომ ალბად ეს ზაფხული სულ სიზმარში გაგიტარებიათ.

გ ა ნ ჯ ე ს ი

(განათლების ელსადგური)



გაიოზი (შალვას) ეს ელსადგური ჩაგვაბარეს ჩვენ განათლების
დავზეთოთ ბლომათ, რომ დავწმინდოთ ეს მანქანები...

რედაქტ. სარედ. კოლეგია, გაზეთ „მუშა„-ს გამოცემა. მთავ. № 1319

ეროვნული ბიბლიოთეკა